

შპს ხოზრევანიძის კლინიკა

2023 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ქ. ბათუმი
2024

სარჩევი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3-8
--------------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	9
სრული შემოსავლების ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	11
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	12
განმარტებითი შენიშვნები.....	13-25
მმართველობის ანგარიშგება.....	26-31



დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს „ხოზრევანიძის კლინიკა“-ს

პარტნიორებს და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ხოზრევანიძის კლინიკა“-ს (შემდგომში „საწარმო“) 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო წლის თანდართული ფინანსური ანგარიშგების (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების) აუდიტი.

ჩვენი აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რაც შესაძლოა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჰქონოდა საკითხებს, რომლებიც განხილულია „*პირობითი მოსაზრების საფუძველის*“ აბზაცში, შპს „ხოზრევანიძის კლინიკა“-ს მიერ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, სრული შემოსავლის ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება) ყველა მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით. ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 674,773.00 ლარით;

ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად და ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 15,677,732.00 ლარით;

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ საწარმოსგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს „ხოზრევანიძის კლინიკი“-ს 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის არსებული შესადარისი მონაცემები არ არის აუდიტებული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, რომელიც მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის, მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, კერძოდ საწარმოს საქმიანობის მიმოხილვას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ

მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მმართველობის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს) პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს საწარმოს შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს საწარმოს ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ საწარმოს არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ ცალ-

ცალკე ან ერთობლიობაში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა;
- ვეცნობით საწარმოს კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას;
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში საწარმოს მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე.

თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ საწარმოს ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე;

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აგრეთვე ვაცნობებთ, რომ ჩვენ ვიცავდით პროფესიული ეთიკის იმ მოთხოვნებს რომლებიც ეხება დამოუკიდებლობას და აგრეთვე იმას, რომ ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ყველა ურთიერთობის, და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა გავლენა ქონდეთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე და სადაც შესაფერისია, იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მივმართავთ დამოუკიდებლობის დასაცავად. მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან განხილული საკითხებიდან ჩვენ გამოვყოფთ საკითხებს, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას იყვნენ ყველაზე მნიშვნელოვანნი და ამდენად, წარმოადგენენ აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებს აღწერთ აუდიტორულ დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ან რეგულაცია გვიკრძალავს ასეთი საკითხების გასაჯაროებას, ან განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაში, რადგან ამ ინფორმაციის გახსნის უარყოფითი შედეგები სავარაუდოდ გადააჭარბებს იმ სარგებელს, რაც ექნებოდა ამ ინფორმაციის წარდგენას საჯარო ინტერესებისათვის.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

**შპს „ბიტივი კონსალტინგის“ სახელით
გარიგების პარტნიორი**



ნინო ჭყონია

აუდიტორთა სახელმწიფო
რეესტრში რეგისტრაციის
ნომერი
SARAS-A-315896

ქ. ბათუმი, 2024 წლის 28
დეკემბერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	709,904	236,139
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11	1,767,390	623,818
გაცემილი სესხები		139,824	139,824
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	674,773	600,053
საგადასახადო აქტივი			367,239
		3,291,891	1,967,073
მირითადი საშუალებები	4	15,677,732	15,853,260
არამატერიალური აქტივები	5	116,181	128,554
		15,793,913	15,981,814
სულ აქტივები		19,085,804	17,948,888
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები	13	2,450,079	2,688,978
სახელფასო ვალდებულებები		591,864	210,575
საგადასახადო ვალდებულებები		386,979	
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება		1,646,630	
		5,075,552	2,899,553
გრძელვადიანი სესხები		13,028,586	14,450,359
		13,028,586	14,450,359
კაპიტალი			
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		598,976	1,967,716
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)		382,690	(1,368,740)
		981,666	598,976
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		19,085,804	17,948,888

დამტკიცებულია და ხელმოწერილია 30.12.2024

ელდარ ხოზრევანიძე
გენერალური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	709,904	236,139
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11	1,767,390	623,818
გაცემილი სესხები		139,824	139,824
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12	674,773	600,053
საგადასახადო აქტივი			367,239
		3,291,891	1,967,073
ძირითადი საშუალებები	4	15,677,732	15,853,260
არამატერიალური აქტივები	5	116,181	128,554
		15,793,913	15,981,814
სულ აქტივები		19,085,804	17,948,888
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი სავაჭრო ვალდებულებები	13	2,450,079	2,688,978
სახელფასო ვალდებულებები		591,864	210,575
საგადასახადო ვალდებულებები		386,979	
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება		1,646,630	
		5,075,552	2,899,553
გრძელვადიანი სესხები		13,028,586	14,450,359
		13,028,586	14,450,359
კაპიტალი			
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		598,976	1,967,716
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)		382,690	(1,368,740)
		981,666	598,976
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		19,085,804	17,948,888

დამტკიცებულია და ხელმოწერილია 30.12.2024

ელდარ ხოზრევანიძე
გენერალური დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

GEL

შემოსავლები	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
ამონაგები	7	17,241,073	10,282,556
ხარჯები			
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	8	(2,662,526)	(1,805,036)
შრომის ანაზღაურება		(9,111,117)	(5,649,767)
ცვეთა და ამორტიზაცია	4-5	(2,135,137)	(305,336)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	9	(1,800,817)	(590,913)
საოპერაციო მოგება		1,531,475	1,931,504
საპროცენტო შემოსავალი		2,934	(335,121)
საპროცენტო ხარჯი		(838,416)	
მოთხოვნების გაუფასურება		(245,579)	
სავალუტო საკურსო სხვაობა, ნეტი		(75,388)	(1,521,440)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები	10	7,663	(7,798)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		382,690	67,145
მოგების გადასახადი			-
წმინდა მოგება/(ზარალი)		382,690	67,145

ელდარ ხოზრევანიძე
გენერალური დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

პირდაპირი მეთოდი

GEL

	12/31/2023	12/31/2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	16,037,731	9,920,624
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები (-)	(6,088,793)	(11,423,629)
თანამშრომელთა ანაზღაურება (-)	(6,575,591)	(4,368,460)
გადასახადები (-)	(2,196,983)	(1,101,541)
სხვა საოპერაციო ხარჯები (-)	(130,457)	(57,893)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,045,908	(7,030,899)
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	(512,088)	(195,747)
მიღებული პროცენტები (+)	2,339	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(509,749)	(195,747)
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრები		
მიღებული სესხები (+)	508,566	8,677,116
გაცემული/გადახდილი სესხები (-)		(721,234)
კაპიტალის გაზრდა/შემცირება (+/-)		
გადახდილი პროცენტები (-)	(491,153)	(335,171)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	17,413	7,620,711
საკუროს სხვაობის ეფექტის	(79,806)	(221,016)
ფულადი სახსრების ზრდა (კლება)	473,766	173,049
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	236,139	63,090
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	709,905	236,139

ელდარ ხოზრევანიძე

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	GEL			
	საწესდებო კაპიტალი	სარეზერვო კაპიტალი	მოგება/ (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის	-	-	1,967,716	1,967,716
წმინდა მოგება/(ზარალი)		-	67,145	67,145
კორექტირება			(1,435,885)	(1,435,885)
მოგების გადასახადი		-		-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	-	598,976	598,976
წმინდა მოგება/(ზარალი)		-	382,690	382,690
მოგების გადასახადი		-		-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	-	-	981,666	981,666

ელდარ ხოზრევანიძე
დირექტორი

ჯემალ ჯაყელი
მთავარი ბუღალტერი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ხოზრევანიძის კლინიკა" (შემდგომში "საწარმო") დაფუძნდა 2013 წლის 20 დეკემბერს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო საიდენტიფიკაციო ნომერია: 445435707; კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, ჰაიდარ აბაშიძის/გიორგი ბრწყინვალის, N58/64. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურება. 2022 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრისათვის, საწარმო ხელმძღვანელია ელდარ ხოზრევანიძე (პ.ნ 61001018050). საწარმოს პარტნიორია:

	12/31/2023	12/31/2022
ელდარ ხოზრევანიძე, 61001018050	25%	25%
გელა ხოზრევანიძე, 61001028787	25%	25%
ნოდარ ხოზრევანიძე, 61001033118	25%	25%
ირაკლი ხოზრევანიძე, 61001049120	25%	25%
	100.00%	100.00%

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

	12/31/2023	12/31/2022
USD	2.6894	2.702
EUR	2.9753	2.8844

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან ან შეფასებული ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. გამოყენებული ცვეთის ნორმებია:

შენიშვნები	20-50 წელი
მანქანა-დანადგარები	5-20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	2-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	2-5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	2-10 წელი

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს. საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები

ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია

ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი

აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით

შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის

გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის

სასარგებლო მომსახურეობის ვადა შეფასებულია 10 წელი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს,

რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის

საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით

დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს

ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა

ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან

ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე საღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისაგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „მიწოდების ხარჯებში“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება ისეთი ქონებაა, რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების, ან ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზნით და კომპანიას არ აქვს თვითონ დაკავებული/გამოყენებული. საინვესტიციო ქონება მოიცავს მშენებარე აქტივებსაც, რომლებიც გამიზნულია მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებლად. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და შემდგომში ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომლითაც შეიძლება ქონება გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში. „გარიგების მსურველი გამყიდველი“ არ არის იძულებული გამყიდველი, რომელიც მზად არის ქონება გაყიდოს ნებისმიერ ფასად. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა იმავე ადგილას მდებარე და იმავე მდგომარეობის მქონე ანალოგიური ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები. თუ არ არსებობს აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები, კომპანია ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, მათ შორის:

ა) განსხვავებული ხასიათის, მდგომარეობის ან განსხვავებულ ადგილას მდებარე ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასებს,

რომლებიც დაკორექტირდება ამ განსხვავებების ასახვის მიზნით;

ბ) ანალოგიური ქონების ნაკლებად აქტიური ბაზრების უახლესი პერიოდის ფასებს რომლებიც დაკორექტირდება ეკონომიკურ

პირობებში მომხდარი ცვლილებების ასახვის მიზნით იმ ოპერაციების თარიღის შემდეგ, რომლებიც განხორციელდა ამ ფასებით; და

გ) დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზებს, რომლებიც ეყრდნობა მომავალი ფულადი ნაკადების საიმედო შეფასებებს და

დასაბუთებულია არსებული საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების პირობებით და (როდესაც შესაძლებელია) გარე მტკიცებულებებით,

როგორიცაა იმავე ადგილას მდებარე და იმავე მდგომარეობის ანალოგიური ქონების მიმდინარე საბაზრო საიჯარო ქირები და

დისკონტირებულია ისეთი დისკონტირების განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ასახავს ფულადი ნაკადების სიდიდესა და მათი

წარმოქმნის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის მიმდინარე საბაზრო შეფასებებს.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების საფუძველზე,

რომელთაც გააჩნიათ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და უახლესი პერიოდის გამოცდილება ანალოგიურ

ადგილას მდებარე ანალოგიური კატეგორიის ქონების შეფასების საკითხში.

მიღებული საიჯარო შემოსავალი აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში ამონაგების შემადგენლობაში. საინვესტიციო

ქონების რეა კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების

საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ

ა) განსხვავებული ხასიათის, მდგომარეობის ან განსხვავებულ ადგილას მდებარე ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასებს,

რომლებიც დაკორექტირდება ამ განსხვავებების ასახვის მიზნით;

ბ) ანალოგიური ქონების ნაკლებად აქტიური ბაზრების უახლესი პერიოდის ფასებს რომლებიც დაკორექტირდება ეკონომიკურ

პირობებში მომხდარი ცვლილებების ასახვის მიზნით იმ ოპერაციების თარიღის შემდეგ, რომლებიც განხორციელდა ამ ფასებით; და

გ) დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზებს, რომლებიც ეყრდნობა მომავალი ფულადი ნაკადების საიმედო შეფასებებს და

დასაბუთებულია არსებული საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების პირობებით და (როდესაც შესაძლებელია) გარე მტკიცებულებებით,

როგორიცაა იმავე ადგილას მდებარე და იმავე მდგომარეობის ანალოგიური ქონების მიმდინარე საბაზრო საიჯარო ქირები და

დისკონტირებულია ისეთი დისკონტირების განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ასახავს ფულადი ნაკადების სიდიდესა და მათი

წარმოქმნის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის მიმდინარე საბაზრო შეფასებებს.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების საფუძველზე,

რომელთაც გააჩნიათ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და უახლესი პერიოდის გამოცდილება ანალოგიურ

ადგილას მდებარე ანალოგიური კატეგორიის ქონების შეფასების საკითხში.

მიღებული საიჯარო შემოსავალი აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში ამონაგების შემადგენლობაში. საინვესტიციო

ქონების რეა კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების

საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, იგი რეკლასიფიცირდება,

როგორც ძირითადი საშუალება და რეკლასიფიკაციის

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

კომპანია შვილობილ კომპანიაში ინვესტიციებს აღიარებს თავდაპირველი ღირებულებით, მანამ სანამ არ მოხდება ინვესტიციის

ბალანსიდან ჩამოწერა ან სანამ არ გაუფასურდება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის. შვილობილ კომპანიაში

ინვესტიციების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველი ანგარიშგების წარდგენის დღისთვის, რათა

განსაზღვრულ იქნას ადგილი აქვს თუ არა გაუფასურებას. თუ ადგილი ექნება ამგვარ გაუფასურებას, ხდება აქტივების

ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება. დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება მოსალოდნელი დივიდენდის

ამჟამინდელი ღირებულებით. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების

საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

გაუფასურების ზარალი მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებთან მიმართებაში ფასდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, და გადავა რეზერვში, თუ არსებობს პოზიტიური ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებულ დაშვებებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის (ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:
 - (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
 - (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
 - (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
 - (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
 - (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
 - (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
 - (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
 - (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, კომპანიამ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამო კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო. საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურეზაცია.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

შპს "ხოზრევანიძის კლინიკა"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი 2110	ძალოვანი აგრეგატები 2101	სამზარეულოს ნივთები 2122	შენობა 2130	მანქანა-დანადგარები 2150	ოფისის აღჭურვილობა 2160	ავიჯი და ინვენტარი 2165 2170	სატრანსპორტო საშუალება 2180	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის	1,231,159	373,330	9,469	4,494,610	11,797,084.81	543,893	165,730	234,451	18,849,726
შეძენა/შექმნა	-			1,967,754					1,967,754
გასვლა/ჩამოწერა			-		- 17,442.50	-	(3,076)		(20,519)
გადაფასებამდე ცვეთის ელიმინირება							-		-
გადაფასება			-	-		-	-		-
კორექტირება	-								-
ტრანსფერი	-	-	-						-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	1,231,159	373,330	9,469	6,462,364	11,779,642	543,893	162,654	234,451	20,796,962
ცვეთა									
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის	-	(144,695)	(8,994)	(545,403)	(1,955,364)	(190,595)	(92,562)	(58,853)	(2,996,466)
ცვეთის გასვლა			-	-		-			-
ცვეთის კორექტირება									-
პერიოდის ცვეთა		(65,030)	(193)	(258,495)	(1,651,522)	(92,859)	(26,531)	(28,134)	(2,122,764)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	-	(209,725)	(9,187)	(803,898)	(3,606,887)	(283,454)	(119,093)	(86,987)	(5,119,230)
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 1 იანვრისათვის	1,231,159	228,635	475	3,949,207	9,841,720	353,298	73,168	175,598	15,853,260
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	1,231,159	163,605	282	5,658,466	8,172,756	260,439	43,561	147,464	15,677,732

5. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა		სულ	
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის	153,341		153,341	
შეძენა	-		-	
გადატანა	-		-	
ჩამოწერა	-		-	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	153,341		153,341	
<i>ამორტიზაცია</i>				
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის	-	24,787.00	-	24,787.00
პერიოდის ამორტიზაცია	-	12,373.00	-	12,373.00
ჩამოწერილი ა/ა ამორტიზაცია				-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	-	37,160.00	-	37,160.00
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 1 იანვრისათვის	128,554		128,554	
ნარჩენი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	116,181		116,181	

6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	12/31/2023	12/31/2022
ფული საბანკო ანგარიშებზე	706,721	134,237
ფული სალაროში	3,183	101,902
სულ	709,904	236,139

7. ამონაგები

	12/31/2023	12/31/2022
შემოსავალი სამედიცინო საქმიანობიდან	17,239,303	10,282,556
სხვა შემოსავლები	1,770	
სულ	17,241,073	10,282,556

8. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	12/31/2023	12/31/2022
ძირითადი ნმასალები დანახარჯები შეზენა	- 2,255,092.95	1,805,036
მცირეფასიანი საქონლის დანახარჯები	- 435.40	
გაყიდული/შემძენილი საქონელი	- 117,338.06	
მომსახურების ხარჯი	- 41,705.27	
თეთრეულის რეცხვა	- 43,583.64	
შესრულებული სამუშაოები	- 44,786.00	
ჰიგიენის ხარჯი	- 84,482.35	
საკვები პროდუქცია	- 75,102.34	
სულ	-2,662,526	1,805,036

9. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

	12/31/2023	12/31/2022
რეკლამის ხარჯი	- 28,011.54	- 14,410.00
კომუნალური ხარჯები	- 332,574.49	- 244,365.00
სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯები	- 58,584.30	- 185,723.00
კომუნიკაციის ხარჯი	- 10,255.89	- 5,913.00
საკონსულტაციო ხარჯი	- 84,285.71	- 18,760.00
მომსახურების ხარჯი	- 991,865.26	- 114,375.00
წარმომადგენლობითი ხარჯი	- 19,771.00	-
იჯარა	- 95,428.71	-
ბანკის საკომისიო	- 6,177.01	
პოს ტერმინალის საკომისიო	- 116,518.04	
საბუღალტრო მომსახურება	- 15,000.00	
დაცვის მომსახურება	- 9,120.00	
ოფისის ხარჯი	- 14,641.00	
სხვა ხარჯი	- 18,584.41	- 7,367.00
	- 1,800,817.36	- 590,913.00

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები)

	12/31/2023	12/31/2022
უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	12,868.36	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	- 15,370.00	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	10,165.00	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		-7,798
	7,663	-7,798

11. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები

	12/31/2023	12/31/2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,713,602	653,485
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	52,571	- 30,883.58
დარიცხული პროცენტები	1,216	1,216
	1,767,390	623,818

12. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	12/31/2023	12/31/2022
ინვენტარი	470,714	309,970
სამეურნეო საქონელი	3,343	1,329
მასალები	73,874	170,009
სამედიცინო ხალატები და თეთრეული	10,640	10,640
ავეჯის მასალები	70,138	63,159
სხვა მარაგები	46,064	44,946
	674,773	600,053

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	2,244,458	2,636,978
საპენსიო სააგენტოს დავალიანება	153,621	
სხვა ვალდებულებები	52,000	52,000
	2,450,079	2,688,978

14. ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან და ნაშთები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება:

	2023	2022
გაცემული ანაზღაურება	706,591	610,591

	2023	2022
გასაცემი ანაზღაურების ნაშთი პერიოდის ბოლოს	51,579	111,124
სულ დაუფარავი ნაშთები		

	12/31/2023	12/31/2022
მისაღები სესხები	139,824	139,824

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

შპს ხოზრევანიძის კლინიკა

მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ხოზრევანიძის კლინიკა“ დაფუძნდა 2013 წლის 20 დეკემბერს. შპს „ხოზრევანიძის კლინიკა“ ფუნქციონირებს, როგორც მრავალპროფილური კლინიკა.

2. საზოგადოების მართვა

შპს „ხოზრევანიძის კლინიკა“ საქმიანობას ანხორციელებს დამტკიცებული წესდების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა დამფუძნებელთა საბჭო.

დამფუძნებელთა საბჭო განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხებზე როგორცაა: წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, ფასიანი ქაღალდების გამოშვება, დირექტორის ანგარიშის დამტკიცება და სხვა.

დამფუძნებელთა საბჭო ტარდება ყოველწლიურად. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია ჩატარდეს რიგგარეშე დამფუძნებელთა საბჭო დირექტორატის მოთხოვნით, ან სხვა შემთხვევებში.

კლინიკა საქმიანობას წარმართავს დირექტორი დამტკიცებული სტრუქტურისა და სამტატო განრიგის შესაბამისად.

კლინიკის თითოეულ თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობები რეგულირდება კლინიკის შინაგანაწესითა და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.


კლინიკის შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

საწარმო ექვემდებარება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოების მიერ ცალკეული სამედიცინო მომსახურებების განსახორციელებლად საჭირო ლიცენზირებას, ლაბორატორიის აკრედიტაციას და სხვა. სამედიცინო დაწესებულებას მიღებული აქვს შესაბამისი ნებართვები და ნებართვების დანართები სხვადასხვა სახის სამედიცინო საქმიანობის განხორციელებაში. სამედიცინო დაწესებულება აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ სანებართვო-სალიცენზიო პირობებს.

ნებართვები და ნებართვის დანართები:

- სანებართვო მოწმობა N 000059 - სტაციონარული დაწესებულების ნებართვა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000974 - ონკოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N0001999 - ქიმიოთერაპია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000793 - ოფთალმოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000791- გინეკოლოგიური პროფილის საქმიანობა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000788 - ნეიროქირურგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000910 - ინტერვენციული კარდიოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N001540 - რენიმაციული მომსახურება-ინტენსიური მკურნალობა/ მოვლა I-II-III დონე;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000923 - კარდიოქირურგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000819 - ანესთეზიით სტომატოლოგიური საქმიანობა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000790 - ოტორინოლარინგოლოგია;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000784 - ლაბორატორიული საქმიანობა-იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000785 - ლაბორატორიული საქმიანობა-კლინიკური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000786 - ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N005233 - ლაბორატორიული საქმიანობა-კლინიკური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000820 - რადიოლოგიური საქმიანობა-კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N000787 - რადიოლოგიური-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა;
- სანებართვო მოწმობის დანართი N001541 - ქირურგიული მომსახურება II-III დონე;

ორგანიზაციული სტრუქტურა:



სამედიცინო დეპარტამენტი
ხელმძღვანელი - დავითა გიგაძე

ქირურგიული სამსახური
სამსახურის ხელმძღვანელი - გიგაძე ნაკაშიძე

ზოგადი ქირურგია
- მიმართულების ხელმძღვანელი (1)
- ზოგადი ქირურგია (სტაციონარი - 5; ამბულატორია - 2)
- ბავშვთა ქირურგია (სტაციონარი - 1; ამბულატორია - 1)
- მკვლევარი / ინტენსიური (სტაციონარი - 2; ამბულატორია - 1)
- ანგიოლოგი (სტაციონარი - 1; ამბულატორია - 1)
- სტომატოლოგი (სტაციონარი - 2; ამბულატორია - 2)
- ტრავმატოლოგი (სტაციონარი - 1; ამბულატორია - 1)
- ყბა-სახის ქირურგია (სტაციონარი - 1; ამბულატორია - 1)
- პროტოდონტი (სტაციონარი - 1; ამბულატორია - 1)
- ზოგადი ქირურგია/უროლოგი (სტაციონარი - 1; დღის სტაციონარი - 1)
ოტორინოლარინგოლოგია
- მიმართულების ხელმძღვანელი (1)
- ოტორინოლარინგოლოგი (სტაციონარი - 3; ამბულატორია - 4)
უროლოგია
- მიმართულების ხელმძღვანელი (1)
- უროლოგი (სტაციონარი - 2; ამბულატორია - 2)
ნეფროლოგია
- მიმართულების ხელმძღვანელი (1)
- ნეფროლოგი (სტაციონარი - 2; ამბულატორია - 1)
პლასტიკური ქირურგია
- პლასტიკური ქირურგია (სტაციონარი - 4; ამბულატორია - 1)
გინეკოლოგია
- მიმართულების ხელმძღვანელი (1)
- გინეკოლოგი (სტაციონარი - 5; ამბულატორია - 7)
ოფთალმოლოგია
- მიმართულების ხელმძღვანელი (1)
- ოფთალმოლოგი (სტაციონარი - 1; ამბულატორია - 2)
- უმცროსი ექიმი (2)
ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტები:
- ინფექციონისტი (სტაციონარი - 1)
- ნეფროლოგი (სტაციონარი - 1)

კარდიოლოგიური სამსახური
სამსახურის ხელმძღვანელი - მიხეილ მეტრეველი

კარდიოლოგიური მიმართულება
- მიმართულების ხელმძღვანელი (1)
- კარდიოლოგი (სტაციონარი - 4; ამბულატორია - 6)
- უმცროსი ექიმი (1)
- არითმოლოგი (ამბულატორია - 1)
კარდიოინტენსივის მიმართულების ხელმძღვანელი
- კარდიოინტენსივის მიმართულების ხელმძღვანელი (1)
- კარდიოლოგი (სტაციონარი - 6; ამბულატორია - 3)
- უმცროსი ექიმი (3)
- პერფუზიოლოგი (სტაციონარი - 2)
- უმცროსი ექიმი (1)

ანესთეზია-რეანიმაციის სამსახური
სამსახურის ხელმძღვანელი - ნადირ ქაშაძე

- მიმართულების ხელმძღვანელი (1)
- ანესთეზიოლოგი (სტაციონარი - 5; ამბულატორია - 3)
- რეანიმაციოლოგი (სტაციონარი - 5)
- პოსტოპერაციის მონიტორინგი (5)
- კარდიოქირურგიული ანესთეზია - რეანიმაციის მიმართულების ხელმძღვანელი (1)
- ანესთეზიოლოგი - (სტაციონარი - 1; ამბულატორია - 1)
- რეანიმაციოლოგი - (სტაციონარი - 1)
- პოსტოპერაციის მონიტორინგი - (1)
- ტრანსფეროლოგი (სტაციონარი - 1)

რადიოლოგიური სამსახური
სამსახურის ხელმძღვანელი - გიგაძე ნაკაშიძე

- მიმართულების ხელმძღვანელი - (1)
- ექიმი რენტგენოლოგი (სტაციონარი - 1; ამბულატორია - 1)
- CT ექიმი - (ამბულატორია - 1)
- MRT ექიმი (ამბულატორია - 1)
- ექიმი-რადიოლოგი, ულტრასონოგრაფია (სტაციონარი - 1; ამბულატორია - 2)
- ექიმი-რადიოლოგი, გულს ულტრასონოგრაფია (სტაციონარი - 4)
- ექიმი-რადიოლოგი (ბავშვთა გულს ულტრასონოგრაფია (ამბულატორია - 2)

ლაბორატორიის სამსახური
სამსახურის ხელმძღვანელი - ნათელა ქერიძე

ექიმი ლაბორანტი (ამბულატორია - 5)

ამბულატორიული სამსახური
სამსახურის ხელმძღვანელი - მათა ზუზუნაშვილი

- ზოგადი ქირურგია - ბავშვთა ქირურგია - მამოლოგია - ოტორინოლარინგოლოგია - უროლოგია - პროტოდონტი - ნეფროლოგია - კარდიოქირურგია - პლასტიკური ქირურგია - ენდოკრინოლოგია - რენტგენი - CT - MRT - ულტრასონოგრაფია - კარდიოქირურგია	- ტრავმატოლოგია - გინეკოლოგია - ოფთალმოლოგია-ალტერნატიული (მოწვევით) - ანგიოლოგია (მოწვევით) - ბავშვთა ნეფროლოგია (ნეფროსონოსკოპია) - ბავშვთა ენდოკრინოლოგია - კარდიოქირურგია - ენდოკრინოლოგია - თერაპია - ნეფროლოგია - ოფთალმოლოგია - პედიატრია - კარდიოლოგია - არითმოლოგია (მოწვევით) - სტომატოლოგია
--	--

საქონლო სამსახური
სამსახურის ხელმძღვანელი - დავით გიგაძე

ქირურგიული სამსახურის უფროსი ექიმი
ირმა აბაშიძე

- დღის ექიმი (4)
- მორიგე ექიმი (9)
- ექიმის დამხმარე (1)

საოპერაციო უფროსი ექიმი
გეგმა პატარიძე

- საოპერაციო ექიმი (11)
- ექიმის დამხმარე (9)
- კარდიოქირურგიული საოპერაციო ექიმი (1)

ანესთეზია/რეანიმაციის უფროსი ექიმი
ქრისტინა ოსტაიძე

- ანესთეზიის ექიმი - (სტაციონარი - 6;)
- ბავშვთა პოსტოპერაციის ექიმი (2)
- მონიტორინგი პოსტოპერაციის ექიმი (6)

კარდიოქირურგიის განყოფილების/პოსტოპერაციის
უფროსი ექიმი - ნატალია ქიქოლაძე

- პოსტოპერაციის ექიმი (6)
- განყოფილების დღის ექიმი (2);
- განყოფილების მორიგე ექიმი (6)

სასტერლიზაციის უფროსი ექიმი
მაცა დავითაძე

- სტერლიზაციის ექიმი (5)

კარდიო-ინტენსივის უფროსი ექიმი
გიგაძე ნაკაშიძე

ამბულატორიის (კაბინეტის) ექიმი - 12

ტრანსფერის ექიმი (2)

- რადიოლოგიური სამსახურის უფროსი ექიმი (1)
- ექიმი/MRT (1)
- ექიმი/CT (1)
- ექიმი/რენტგენი (2)

- ფლუბოტომისტი (4)

აფთვითვის პასუხისმგებელი ექიმი - ნონა ჯორჯენაძე

მომსახურების სახეები პროფილების მიხედვით:

- ბავშვთა ქირურგია;
- გინეკოლოგია;
- ზოგადი ქირურგია;
- კარდიო ინტერვენცია;
- კარდიოლოგია;
- კარდიოქირურგია;
- ტრავმატოლოგია;
- ნეიროქირურგია;
- ონკოქირურგია.
- ოტორინოლარინგოლოგია;
- ოფთალმოლოგია;
- პლასტიკური ქირურგია;
- რენტგენოლოგია;
- სტომატოლოგია;
- უროლოგია;
- ანესთეზიოლოგია;

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს „ხოზრევანიძის კლინიკა“ ფოკუსირებულია ბაზრის წილისა და მომგებიანობის ზრდაზე. ის რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი კლინიკაა და სარგებლობს მოსახლეობის მაღალი სანდოობით.

დაფუძნების დღიდან დროის განმავლობაში, კლინიკაში ჩამოყალიბდა ადამიანების გუნდი, რომელიც იზიარებს კლინიკის განვითარების ერთიან ხედვას და ყველაფერს აკეთებს მუდმივად პროგრესირებად კლინიკად გარდასაქმნელად. კომპანიის ძირითადი ფინანსური და საწარმოო მაჩვენებლები იზრდება წლიდან წლამდე, რაც დამფუძნებლის განხორციელებული ინვესტიციების, კონკრეტული საქმიანობების გაუმჯობესებისა და განვითარების პროგრამების შედეგია.

შპს „ხოზრევანიძის კლინიკა“ ფოკუსირებულია მოქალაქეების მკურნალობაზე, გამოჯანმრთელობაზე და მასთან დაკავშირებული მომსახურებების სახეებზე.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

მიმდინარე პერიოდში ჯგუფს არ განუხორციელებია კვლევა - ძიების სამუშაოები.

5. ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

კლინიკაში ფუნქციონირებს 16 განყოფილება:

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა:

31/12/2022 - 181

31/12/2023 – 233

6. ნარჩენების მართვა

კლინიკის მთავარი ამოცანა ადამიანთა ჯანმრთელობაზე ზრუნვაა, შესაბამისად კომპანია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს გარემოს დაცვის საკითხებს, აღნიშნული გამოიხატება სხვადასხვა გზით, კერძოდ ერთ-ერთი შეიძლება დავასახელოთ ნარჩენების მინიმოზაციის ამოცანის გადაჭრა. ნარჩენების შემცირების ყველაზე ეფექტური გზა, პირველ რიგში არის მისი წარმოქმნის შემცირება, რასაც მრავალმხრივი უპირატესობები გააჩნია, ის ამცირებს დაბინძურებას, ზოგავს ფულს, ამცირებს გადასამუშავებელი, ნაგავსაყრელზე და ინსენატორებში განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობას, იძლევა საშუალებას მაქსიმალურად იქნას პროდუქტი გამოყენებული. ამისათვის კომპანია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენისა და გახარჯვის საკითხს, მუდმივად კონტროლირდება ვადიანობა და შეძენის მიზნობრიობა. არ ხდება ზედმეტი მარაგების შექმნა და შესაბამისად, ვადაგასული საქონლის არსებობა, რაც თავიდან გვაცილებს დაბინძურების საფრთხეს. ამასთან, კლინიკაში ადგილი აქვს განსაკუთრებით საშიში ნარჩენების არსებობას, დაავადებული პაციენტების მიერ ერთჯერადი მოხმარების საგნების გაუნებელყოფის მიმართ მიმდინარეობს განსაკუთრებული მონიტორინგი, ასეთი სახის ნარჩენების თავმოყრა ხორციელდება სპეციალურ ბასრი სამედიცინო ნარჩენების შემკრებ-გამანადგურებელ კონტეინერებში.

კლინიკაში მაქსიმალურადაა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც დასტურდება სხვადასხვა მარეგულირებელი ორგანოების მიერ ჩატარებული შემოწმებებით.

7. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

8. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

სამედიცინო შემოსავალი 2023 წელთან შედარებით -40,36 %-ით გაიზარდა, რაც განპირობებულია კლინიკის გადართობით და განყოფილებების ზრდით:

	2023	2022	ზრდა
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	17,241,073	10,282,556	40,36%

ძირითადი საშუალებების ნეტო საბალანსო ღირებულება 2023 წლის ბოლოს 3,58 %-ით შემცირდა წინა წლიდან წელთან შედარებით:

	2023	2022	შემცირება
ძირითადი საშუალებები	15,677,732	15,853,260	1,11%

საზოგადოების 2023 წლის ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები:

ლიკვიდურობის კოეფიციენტი	=	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$	=	$\frac{3,291,891}{5,075,552}$	=	0,65
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	=	$\frac{\text{მიმდინარე აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$	=	$\frac{3,291,891-674,773}{5,075,552}$	=	0,5056
მოგება საკუთარ კაპიტალზე	=	$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$	=	$\frac{382,690}{981,666}$	=	0,3898

2023 წლის აქტივების გამოყენების კოეფიციენტები:

აქტივების ბრუნვა	=	$\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}}$	=	$\frac{17,241,073}{19,085,913}$	=	0,9033
დ.ს. გამოყენების ინტენსივობა	=	$\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{დ.ს. ღირებულება}}$	=	$\frac{17,241,073}{15,677,732}$	=	1,0997

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ხელმძღვანელობის აზრით, ჯანმრთელობის დაცვა არის გადამწყვეტი მნიშვნელობის.

კომპანიის ოპერირებას თან ახლავს რეპუტაციული რისკი, მაღალი დონის სამედიცინო პერსონალის დენადობის რისკი და მათი სწრაფად ჩანაცვლების შესაძლებლობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის რაოდენობაზე.

აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს ასევე კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა. თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა. სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევისა და რეაგირების პოლიტიკა. პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისკენ.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 01 აგვისტოს.

გენერალური დირექტორი

ელდარ ხოზრევანიძე

9. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ხელმძღვანელობის აზრით, ჯანმრთელობის დაცვა არის გადამწყვეტი მნიშვნელობის. კომპანიის ოპერირებას თან ახლავს რეპუტაციული რისკი, მაღალი დონის სამედიცინო პერსონალის დენადობის რისკი და მათი სწრაფად ჩანაცვლების შესაძლებლობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის რაოდენობაზე.

აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს ასევე კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა. თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა. სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევისა და რეაგირების პოლიტიკა. პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისკენ.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 01 აგვისტოს.

გენერალური დირექტორი

ელდარ ხოზრევანიძე

